13/03/2024

2024 წლის 12 მარტს საქართველოს საპატრიარქოში სტუმრად იმყოფებოდა სომხეთის რესპუბლიკის ელჩი, ბატონი აშოტ სმბატიანი.

ელჩს უმასპინძლა საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი).
შეხვედრისას საუბარი სომხეთისა და საქართველოს წინაშე დღეისათვის მდგომ გამოწვევებს და სამეზობლო ურთიერთობებს შეეხო.
შეხვედრას ესწრებოდნენ ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე), ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე), გორისა და ატენის მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა) და დეკანოზი არჩილ ხაჩიძე.

[საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური]